# პრაქტიკული დავალება

**სახელი: ნიკოლოზ ალიბეგაშვილი**

**თემა: მიგრაცია და სოციალური მობილობა**

1 დღე

დღეს სოფლის მოსახლეობამ ადრევე გაიღვიძა და დაიწყო თავისი ყოველდღიური საქმიანობა. ჩვენი მოსახლეობის სტრუქტურა ჯერ კიდევ ერთიანია: ხანდახან ისევ ტრადიციების დაცვაზე ვართ გადასულები, თუმცა ასაკოვანი ადამიანები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ საჭიროა  ცვლილებები. ახალგაზრდები ხშირად მიდიან, სხვაგან ეძებენ უკეთეს ცხოვრებას, რაც მოსახლეობის დინამიკას ცვლის. ეს მექანიკური მიგრაცია ახლა ხშირად ხდება, რადგან ახალი სივრცე და ახალი შანსები მოგვწონს. ჩვენი უფროსები ამბობენ, რომ დროა, ახალი სოციალიზაციის აგენტები გავხდეთ, რათა უკეთ ვისწავლოთ ერთმანეთთან ურთიერთობა. თუმცა ძველ ტრადიციებს ვერ დავთმობთ, რადგან ისინი ჩვენი იდენტობაა.

2 დღე

ნადირობამ კარგად ჩაიარა, მაგრამ მაინც ვგრძნობთ, რომ რაღაცებს ვერ ვასწრებთ. სოციალიზაცია ახლა უფრო მეტად შინაგან პრობლემებზე დაფუძნდება. ბავშვები ღია ცის ქვეშ ერთმანეთს ასწავლიან სხვადასხვა რამეს.  სოციალური მობილობა უფრო თვალსაჩინოა, რადგან ხალხი ხშირად მიდის სხვა ტომებისკენ, სადაც უკეთესი შესაძლებლობები აქვთ. მაგრამ ამ ცვლილებებს ყოველთვის არ მოჰყვება კარგი შედეგი. ზოგიერთი ამბობს, რომ უფრო მეტი ცვლილებები და ახალი კანონები გვჭირდება, რასაც დავჯერდებით ჩვენს მომავალში.

3 დღე

დღეს სოფელში უფროსები იკრიბებიან, რათა შეიმუშაონ მოსახლეობის შესახებ ახალი პოლიტიკა. ისინი ამბობენ, რომ მოსახლეობის სტრუქტურა და მოსახლეობის დინამიკა იცვლება, ამიტომ აუცილებელია, რომ ჩვენი ტომი გაძლიერდეს. მაგრამ ნაწილი მაინც წინააღმდეგია. ისინი თვლიან, რომ ძველი ტრადიციები უკეთესია და ჩვენი იდენტობა იმაშია, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ხასიათი. ახალმა სოციალურმა წესებმა, რომლებიც ტომებში შემოვიდა, შეიძლება ტომი  შეცვალოს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ვალდებულები ვართ, რომ დრო გამოვიყენოთ და გავაძლიეროთ ჩვენი ტომი.

4 დღე

 ბევრი ახალგაზრდაა, რომელიც გადავიდა უფრო განვითარებულ ტომებში, მათ ახალი შანსები და უკეთესი ცხოვრება მიეცათ, მაგრამ ამას ხშირად მოჰყვება დაბრუნების

სურვილის დაკარგვა. ჩვენს ტომში ხდება მიგრაცია, ჩნდება ახალი სოციალური სივრცეები, რომელიც ჩვენი ტომისთვის უცხოა.  შეიძლება ახალგაზრდები არ დაბრუნდნენ, რადგან სხვა ტომებში ცხოვრების წესები და სოციალური ურთიერთობები სრულიად განსხვავებულია.

5 დღე

დღეს სოფელში მოსული უფროსები საუბრობენ, იმ ცვლილებებზე, რომლებიც ჩვენ თავს ხდება, უნდა გადავიდეთ ახალ სოციალურ მოდელზე. მოსახლეობის სტრუქტურა აქამდე უფრო მარტივი იყო, მაგრამ ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალური მობილობა იზრდება და ხალხი უფრო ხშირად გადადის ახალი ადგილებისკენ. თუმცა, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი იდენტობა. ტომის ყველაზე დიდი ძალა, როგორც ყოველთვის, ერთობაშია. თუ ეს ერთობა დაიკარგება, ახალი სივრცეები და მიგრაცია ჩვენი ტომისთვის სერიოზული პრობლემა გახდება.

## დასკვნა

ჩვენს ტომში მიგრაცია და სოციალური მობილობა სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ახალგაზრდები ტოვებენ სოფელს და ეძებენ უკეთეს შესაძლებლობებს, რაც მოსახლეობის სტრუქტურასა და ტრადიციულ წესებს ცვლის.

ამ ცვლილებების მიუხედავად, ტრადიციები და ერთობა რჩება ჩვენი ძალად. მნიშვნელოვანია, რომ ვიპოვოთ ბალანსი განვითარებასა და იდენტობის დაცვას შორის, რათა ტომმა გამძლეობა და სიძლიერე შეინარჩუნოს მომავალშიც.